საქართველოს მთავრობის განკარგულება

№546 2017 წლის 23 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წლისა და წინა წლების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარჩინებული კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლებისა და მედლების ჩასადები ყუთების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან („წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება“ (პროგრამული კოდი: 32 02 04)).

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080182085019417

 # 802 **13 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 6 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP170000699 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია 2015-2016 სასწავლო წლის და წინა წლებში წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლების და მედლის ჩასადები ყუთების (CPV 18500000 - სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები) შესყიდვა, ღირებულებით - 155000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მოცემული პროექტის განხორციელების მანძილზე (2010 წლიდან დღემდე) მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ წარჩინებულ მოსწავლეთა მედლებით დაჯილდოება პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეთა მისწრაფებაზე ცოდნის დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ყოველი წლის მანძილზე იზრდება წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა, მედლებით დაჯილდოების, როგორც წამახალისებელი აქტივობის წყვეტა ნეგატიურ განწყობას ქმნის საზოგადოებაში. მოსწავლეები, რომელთაც უაღრესად დიდი ძალისხმევითა და მონდომებით დაიმსახურეს აღნიშნული ჯილდო, აგრეთვე მათი მშობლები, სისტემატურად გამოხატავენ უკმაყოფილებას და ითხოვენ დროულად განხორციელდეს სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულება. სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს დროულად და შეუფერხებლად მოხდეს აღებული ვალდებულებების შესრულება და მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მედლების დროულად გადაცემა.

როგორც მომართვიდან ირკვევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015- 2016 სასწავლო წელს წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი)

მედლების და მედლის ჩასადები ყუთების შესყიდვის მიზნით, 2016 წლის 26 ოქტომბერს გამოაცხადა SPA160027104 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ტენდერის შედეგების მიხედვით გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც შესრულდა არაჯეროვნად, რადგან მოწოდებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან და ტექნიკურ პარამეტრებთან შეუსაბამო მედლები. შესაბამისად, 2016 წელს შეუძლებელი გახადა წარჩინებულ მოსწავლეთა მედლებით დაჯილდოება. 2017 წლის 16 იანვარს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტრომ № 27923 წერილით მიმართა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ. ამის შემდგომ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, მოცემული შესყიდვის განხორციელების მიზნით, განხორციელდა კონსულტაციები შესაბამისი დარგის ექსპერტებთან დასამზადებელი მედლების მახასიათებლებისა და დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ჩამოყალიბების შემდეგ, განხორციელდა ბაზრის მოკვლევა და მოკვლევის შედეგების შესაბამისად, დადგინდა როგორც საქონლის სავარაუდო ღირებულება, ისე მისი დამზადებისთვის საჭირო დრო - 40-დან 70 დღემდე.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, საქონლის დამზადებისთვის საჭირო დროის (40-დან 70 დღემდე) სიდიდიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ კიდევ უფრო გაჭიანურდეს წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოებისათვის აუცილებელი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლების და მედლის ჩასადები ყუთების მიწოდება, რაც დაგეგმილი ღონისძიების წარმართვისათვის ხელშემშლელი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული საქონლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია 2015-2016 სასწავლო წლის და წინა წლებში წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლების და მედლის ჩასადები ყუთების შესყიდვა.

ამასთან, აღნიშნული შესყიდვების განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, საქონლის დამზადებისთვის საჭირო დროის (40-დან 70 დღემდე) სიდიდიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ გაჭიანურდეს წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოებისათვის აუცილებელი ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლების და მედლის ჩასადები ყუთების მიწოდება, რაც დაგეგმილი ღონისძიების წარმართვისათვის ხელშემშლელი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა

უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP170000699 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს „ზარაფხანას" შორის 2015-2016 სასწავლო წელს და წინა წლებში (გარკვეული მიზეზების გამო გაუცემელი არასწორად განსაზღვრული მედლის ტიპის, გვარში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო) წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი **ოქროსა (მოოქროვილი) და ვერცხლის (მოვერცხლილი) მედლების და მედლის ჩასადები კოლოფების დამზადების და მოწოდების** მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარებისა და კონტროლის აქტზე ხელმომწერი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი /ქეთევან გრიგოლია/ ----------

კონტროლის აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები:

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი /ნინო ცანდიშვილი/ ----------

ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი /ზაზა დოლიძე/ ----------

5,04,2017 წელი